



იანვარი, 2024

# წყალდიდობისგან დაცვის პროექტი

– სენაკი (საქართველო)



## რეზიუმე

სენაკმა, საქართველოს ერთ-ერთმა მუნიციპალიტეტმა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მიმართულებით, აიღო რა სათბურის გაზების (GHG) ემისიების 35%-ით შემცირების და ადაპტაციის ღონისძიებების მეშვეობით მდგრადობის გაძლიერების ვალდებულება. ეს ძალისხმევა მერების შეთანხმების ინიციატივის ნაწილია, რაც ხაზს უსვამს სენაკის სწრაფვას მდგრადი განვითარებისკენ.

## კონტექსტი

სენაკს დგას მრავალი კლიმატური საფრთხის წინაშე, მათ შორისაა მეწყერი, წყალდიდობა, ძლიერი ქარი და ძლიერი ნალექები. ეს რისკები განსაკუთრებით ეხება მოწყვლად ტერიტორიებს, როგორცაა ქალაქი სენაკი და მისი მიმდებარე სოფლები მდინარეების ტეხურასა და რიონის გასწვრივ. ამ პრობლემების გადასაჭრელად სენაკმა შეიმუშავა კომპლექსური „მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა“ (მეკსგ), რომელიც შეესაბამება მერების შეთანხმების შერბილების, ადაპტაციისა და უსაფრთხო ენერჯის ფუნდამენტურ პრინციპებს. ყოველწლიურად სენაკის მოსახლეობის 30%, ისევე როგორც ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები) და სასოფლო-სამეურნეო მიწები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების ქვეშაა.

## აქტივობის აღწერა

01

მდინარე რიონის ნაპირის გამაგრება (ზემოჭალადის თემა):

- ღირებულება: 1,360,990.00 ლარი (დაახლოებით 486,000.00 ევრო)
- დაფინანსება: გაეროს განვითარების პროგრამისა და მწვანე კლიმატის ფონდის მხარდაჭერით, ღონისძიებები მოიცავდა გაბიონებისა და სანაპიროების დამონტაჟებას მდინარის გადმოდინების თავიდან ასაცილებლად, ადგილობრივი ოჯახებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების წყალდიდობისგან დასაცავად.

02

მდინარე ტეხურას ნაპირის გამაგრება (სოფელი ახალსოფელი):

- ღირებულება: 4,888,888.00 ლარი (დაახლოებით 1,746,000.00 ევრო)
- ამ ინიციატივის შედეგად დაცულია სასოფლო-სამეურნეო მიწები სოფელ ახალსოფელში, რაც გააჩენს მათი დამუშავების ახალ შესაძლებლობებს და შეამცირებს წყალდიდობის რისკს ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი სახლებისთვის.

03

მდინარე რიონის ნაპირის გამაგრება (სოფელი თეკლათი):

- ღირებულება: 3,940,683.00 ლარი (დაახლოებით 1,407,400.00 ევრო)
- სოფელ თეკლათში განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, რაც მიზნად ისახავს კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი ტერიტორიების დაცვას მდინარის ადიდების მავნე ზემოქმედებისგან ძლიერი წვიმის დროს.

## ფოკუსირება

სენაკის ინიციატივებმა წარმატებით შეამსუბუქა გზების და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის ზარალი, როგორც წვიმების, ისე მდინარეების წყალდიდობის დროს, რითაც უზრუნველყო მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე შეუფერებელი წვდომა.

## სენაკი



**მოსახლეობა:**

51 800

**ფართობი:**

520,7 კმ<sup>2</sup>

**მერების შეთანხმების  
ხელმოწერის  
თარიღი:**

მარტი, 2023

**CO<sub>2</sub> ემისიების  
შემცირების მიზანი:**

35%

## სამიზნე სექტორი, კლიმატური საფრთხე(ები) და მოსახლეობის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფი

### სამიზნე სექტორი:

- სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება: სოფლის მეურნეობის მდგრადობის გაზრდა კლიმატური საფრთხეების მიმართ, როგორცაა წყალდიდობა და მეწყერი, განსაკუთრებით მდინარის ადიდების და ძლიერი ნალექის მიმართ მოწყვლად ადგილებში.
- ინფრასტრუქტურა: კრიტიკული ინფრასტრუქტურის, მათ შორის გზების, ხიდებისა და კომუნალური სერვისების დაცვა ამინდის ექსტრემალური მოვლენების ზემოქმედებისგან, მოსახლეობისთვის მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

### კლიმატური საფრთხეები:

- წყალდიდობა: მდინარეებთან სიახლოვის გამო, როგორცაა რიონი და ტეხურა, სენაკი განიცდის წყალდიდობის რისკს ძლიერი წვიმის დროს, რაც საფრთხეს უქმნის სახლებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ინფრასტრუქტურას.
- მეწყერი: მუნიციპალიტეტი ასევე მგრძობიარეა მეწყერების მიმართ, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში, რაც საფრთხეს უქმნის დასახლებებსა და სატრანსპორტო გზებს.
- ძლიერი ქარები და ძლიერი წვიმები.

### სამიზნე მოწყვლადი ჯგუფები:

- სასოფლო თემები: სოფლის მაცხოვრებლები, მათ შორის მდინარეების გასწვრივ და მთიან რელიეფზე მდებარე სოფლები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან წყალდიდობისა და მეწყერი ზემოქმედების მიმართ. ადაპტაციის ღონისძიებები მიზნად ისახავს ამ თემების დაცვას და მათი მედეგობის გაზრდას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის გზით.
- სოფლის მეურნეობის მუშაკები: ფერმერები და სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდწილად დამოკიდებულნი არიან ამინდის სტაბილურ პირობებზე მოსავლის და საარსებო წყაროს მისაღებად. სენაკის ინიციატივები მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაცვას წყალდიდობისა და სხვა კლიმატური რისკებისგან, სოფლის მეურნეობის მდგრადი პრაქტიკის მხარდაჭერით.

## შედეგები:

სოფელი ზემოჭალადი: ნაპირსამაგრება სამუშაოებმა განმეორებადი წყალდიდობებისგან დაიცვა 200 მინამეურნეობა, რაც სოფლის მოსახლეობის 90%-ს წარმოადგენს, ასევე უზრუნველყო პირობებისა და კულტივირებული დაცვა. ფართობების

სოფელი ახალსოფელი: წყალდიდობისგან სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზიანების თავიდან აცილებით, პროექტმა ხელი შეუწყო მანამდე გამოუსადეგარი ტერიტორიების დამუშავებას, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივი მოსახლეობის 60%-ს და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, განსაკუთრებით თხილის გაშენებაში.

ინფრასტრუქტურის დაცვა: განხორციელებულმა ღონისძიებებმა შეამცირა გზებისა და სხვა სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის დაზიანება როგორც ნიაღვრების, ისე წყალდიდობის დროს, გააძლიერა მოსახლეობის უსაფრთხოება და აუცილებელი სერვისების უწყვეტობა.

დაზოგილი თანხა – 270,000 ლარი (დაახლოებით 96,390 ევრო)

## რჩევა რეპლიკაციისთვის:

დაფინანსების სტრატეგია: დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების, მათ შორის საერთაშორისო გრანტების, როგორცაა მწვანე კლიმატის ფონდი, უზრუნველყოფა და ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებთან კოორდინირება თანადაფინანსებისთვის.

თემის ჩართულობა: ადგილობრივი თემების ჩართვა დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებში, რათა უზრუნველყოფოს, რომ პროექტები პასუხობდნენ ადგილობრივ საჭიროებებს და ეფექტურად ხრდიან თემის მდგრადობას.

კომპლექსური დაგეგმვა: მოწყვლადობის საფრთხიანი შეფასების ჩატარება, ადაპტაციის ღონისძიებების პრიორიტეტული სფეროების გამოსავლენად, როგორც არსებული, ისე სავარაუდო კლიმატური რისკების გათვალისწინებით.

## სასარგებლო ბმულები

<https://www.facebook.com/CityHallOfSenakiMunicipality>

€

## პროექტის დაფინანსება

**დაფინანსების წყარო(ები):**  
ადაპტაციის ღონისძიებები ხორციელდება დონორების - გაეროს განვითარების პროგრამის, მწვანე კლიმატის ფონდის, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური რესურსებით.

**ჯამური თანხა :**  
4,117,700.00 ევრო

## საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით:

დალი ქაჩიბაია  
ეკონომიკური განვითარების,  
სტატისტიკისა და ქონების მართვის  
სამმართველოს უფროსი  
სპეციალისტი

+995 599 857552

ბ-ნ ვახტანგ გადელიას

პოზიცია: სენაკის მუნიციპალიტეტის  
მერი  
ელ-ფოსტა: v.gadelia@senaki.gov.ge  
ტელეფონი: +995 599 304 400

[dalichibaia@gmail.com](mailto:dalichibaia@gmail.com)